ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 28 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 23 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. ნაჭყებია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა 00აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი);

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიშის მოსმენა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ე. წურწუმია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს სამი წევრის კახა მიქაბერიძის, ვასილ კუკავას და გენადი ზარანდიას მიერ წარმოდგენილ იქნა ფრაქცია „მაჟორიტარების“ რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტაცია. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კომისიას მიაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საკრებულოს ბიუროს მიერ რეგისტრირებულ იქნა ფრაქცია „მაჟორიტარები“, საკითხი საკრებულოზე წარმოდგენილია ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კარგია ქუჩების, სანიაღვრე არხების, ხიდბოგირების მოწყობა, მაგრამ არანაკლებ აუცილებლობას წარმოადგენს ქალაქში გზისპირა მოსახლეობის ეზოების წინა ფასადის ერთიანად მოწესრიგება (შელამაზება), როგორც ეს მეზობელ მინიციპალიტეტებშია, შემოვიდა წინადადებით, ამისთვის, მომავალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიძებნოს შესაბამისი თანხები, რათა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა, რა თქმა უნდა კანონის ფარგლებში.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა თხოვნით მიმართა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (ზ. ბუკია), რომ ქალაქში პატარ-პატარა ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობისას, უმჯობესი იქნებოდა პროექტის განხორციელებამდე გასაუბრებოდნენ მოსახლეობას, რადგანაც, ზოგან სანიაღვრე არხები გადის მოსახლეობის ეზოებში და შეიძლება წინააღმდეგობებს წააწყდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 395, 0 ათასი ლარით, კერძოდ: 395,0 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებები. არსებული ნაშთიდან ხდება 235,1 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში. გამონთავისუფლებული 395,0 ათასი ლარი და ნაშთის 235,1 ათასი ლარი, სულ 630,1 ათასი ლარი სრულად მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის

დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9426,0 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

3. პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია და განაცხადა, რომ პეტიციის წესით საინიციატივო ჯგუფის სახელით შემოსულია ოთხი განცხადება, სადაც მოთხოვნილია ოთხ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული განცხადებები გადაგზავნილ იქნა გამგეობაში აღნიშნული პრობლემის შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტის მიზნით, რაზედაც გამგეობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები საკრებულოს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრებოდა საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაციაცია „ათინათის“ წარმომადგენელი აკაკი კოროშინაძე და სთხოვა მას ორიოდე სიტყვით ესაუბრა პეტიციის წესით საკრებულოში შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: ა. კოროშენიძე - გამომსვლელმა მოკლედ ისაუბრა პეტიციის წესით წარმოდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სოფლებში ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრები და იქ დასახელდა აღნიშნული პრობლემები, რაზედაც არსებობს კრების ოქმები. დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემები მუნიციპალიტეტის მხრიდან დადებითად იქნება გადაწყვეტილი.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, სთხოვა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (ზ. ბუკია) საკრებულოს წევრებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის გაეცნო გამგეობის პოზიცია წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ზ. ბუკია - გამომსვლელმა ისაუბრა პეტიციის წესით შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ 1) ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თორსის შიდა სასოფლო გზის სამ კილომეტრიან მონაკვეთზე არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება ამ ეტაპზე შეუძლებელია, სამუშაოების შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის გამო. სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში; 2) ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისისა და ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანაგვე ურნების განთავსებისა და ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა მოხდება უახლოეს პერიოდში. მუნიციპალიტეტს უკვე გადმოეცა ორი ერთეული ნაგავმზიდი მანქანა. გაკეთებულია მოთხოვნა 1.1 კუბური მეტრის ტევადობის ლითონის სანაგვე ურნების გადმოცემაზე, რომლის გადმოცემა უნდა განხორციელდეს უახლოეს პერიოდში და სანაგვე ურნები განთავსდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში; 3) ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხეთაში არსებული სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვის საკითხის მოგვარება ამ ეტაპზე შეუძლებელია, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის გამო, როგორც პირველ შემთხვევაში სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში. 4) ხობის მუნიციპალიტეტის ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხამისქურში მდებარე საჯარო სკოლიდან ცენტრალურ საავტომობილო გზამდე გზის მონაკვეთის მოწყობასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მომზადდება საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია. გურიფულის ადმინისტრაციულიი ერთეულის სოფელ პირველი გურიფულის ცენტრიდან სოფელ მეორე გურიფულთან დამაკავშირებელ ხიდამდე საავტომობილო გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ბიუჯეტში სამუშაოტა შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის

გამო. როგორც ზემოთ აღნიშნულ ორ სიტუაციაში, სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში.

ა. კოროშენიძე - გამომსვლელმა თხოვნით მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ მართალია ამჟამად ზოგიერთი პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში შესაბამისი თანხები არ გააჩნია, მაგრამ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი თანხის მობილიზების შემთხვევაში ამ ეტაპისთვის შეუსრულებელი პრობლემები იქნეს მოგვარებული.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა წარმოდგენილი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში ყოველთვის არსებობს სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხები, რომლის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ეტაპობრივად ხდება შესაძლებლობის მიხედვით. დასძინა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მთლიანად მუნიციპალიტეტში ბევრი პრობლემა მოგვარდა და აღნიშნული პრობლემებიც ეტაპობრივად მოგვარდება.

დაადგინეს: გამგეობის მიერ წარმოდგენილი წინადადება ცნობის სახით იქნა მიღებული.

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. ნაჭყებია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა 00აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: მ. ნაჭყებია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წლის ანგარიში (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საფინანსო-სარევიზიო კომისიაში აუდიტის ანგარიშის მოსმენის დროს იყო მწვავე შეკითხვები, დისკუსია, მაგრამ ეს პიროვნულად არავის მიმართ არ იყო მიმართული, უბრალოდ შეკითხვები წარმოიშვა საქმიდან გამომდინარე, რადგანაც მუნიციპალიტეტში სამსახურების მუშაობა უფრო მოქნილი და ეფექტური იყოს. გამომსვლელმა მიმართა სამსახურის უფროსებს, იფიქრონ მუნიციპალიტეტის იმიჯზე და მუშაობის ხარისხზე. სამუშაო საათებში იყვნენ სამსახურში და პირადი საქმეებით ნუ იქნებიან დაკავებული, რადგანაც ეს აისახება მუშაობის ხარისხზე. გამომსვლელმა მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის

თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირში, ერთ შპს-ში და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხუთ სტრუქტურულ ერთეულში. კომისიის სხდომაზე აანგარიშის მოსმენისას გამოიკვეთა, რომ საჯარო სამსახურებში საჯარო მოხელეთა და იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების სისტემატიურ გაცდენებს აქვს ადგილი, ასევე დგას სამსახურებში გამოცხედების პრობლემა, ეს პრობლემები იყო 2015 წლის ანგარიშის მოსმენის დროსაც, რაზეც გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს მიეცა რეკომენდაცია მსგავსი გადაცდომების აღკვეთის მიზნით მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება, თუმცა ეს საკითხი სრულად ვერ მოგვარდა. აუდიტის სამსახურმა უნდა მოამზადოს გამოვლენილი უზუსტობების აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციები და რაც მთავარია გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს. კომისიის სხდომაზე სამსახურის ანგარიშის მოსმენისას, მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მიმდინარე წელი უფრო მეტად ეფექტური და შედეგობრივად თვალსაჩინო იქნება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა და ამ ეტაპზე სამსახურის მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 19

დადებითი – 2 (მ. ქარდავა, ბ. ქირია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. ლატარია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიშის მოსმენა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი).

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა საკრებულოს და გამგეობის კოორდინებულ მუშაობაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის წინსვლაზეც აისახება. მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს და მთლიანად გამგეობის თანამშრომლებს ურთიერთთანამშრომლობისთვის. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 21

დადებითი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. ლატარია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ედიშერ წურწუმია
13. ვასილ კუკავა
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. კობა კაკულია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ქაძანაია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია